გაკვეთილის გეგმა

მასწავლებელი:ნათელა მაჭარაშვილი	
საგანი:ისტორია	**კლასი:** VIII[1] კლასი
თემა:ოლიმპიური თამაშები	**დრო:** 45 წუთი.
მოსწავლეთა პროფილი: 29 მოსწავლე კლასში არ არის სსსმ მოსწავლე	

გაკვეთილის მიზანი:

-
- მოსწავლეები გაიაზრებენ ოლიმპიური/პარაოლიმპიური თამაშების არსს და განსაზღვრავენ ამ პროცესში საქართველოს ადგილს ;
-
-
- მოსწავლეები გააცნობიერებენ/განიხილავენ ოლიმპიურ თამაშებს , როგორც მსოფლიო კულტურის შედევრს;
-
-
- მოსწავლეები შეძლებენ ფიზიკურაქტივობებშიჩართულობის (როგორცჯანმრთელობისგანმტკიცებისადასოციალიზაციისხელშემწყობისაშუალების) მნიშვნელობისგაცნობიერებასდა შეეცდებიან ფიზიკურითვისებების (მაგალითად: ძალა, სისწრაფე, მოქნილობა, გამძლეობა, სიმარჯვე) განვითარებას;

-

მოსალოდნელი შედეგები:

-
- მოსწავლეებმა გაიაზრეს როგორც ოლიმპიური/პარაოლიმპიური თამაშების შესახებ ინფორმაცია და გააკეთეს შესაბამისი დასკვნები ;
-
-
- მოსწავლეებმა ოლიმპიური თამაშები გაიაზრეს, როგორც მსოფლიო კულტურის შედევრები;
-
-
- მოსწავლეებმა შეძლეს ფიზიკურ აქტივობებში ჩართულობისა და ფიზიკური თვისებების განვითარების მნიშვნელობის გაცნობიერება;
-

ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი:
ისტ.VIII.1.მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ფაქტები და მოვლენები შესაბამის ისტორიულ დროსთან;
ისტ. VIII.16.მოსწავლეს შეუძლია აღწეროს მსოფლიო კულტურის შედევრები;

ფიზიკურიაღზრდისადასპორტისსტანდარტი(VII-IX კლასები):
ფ.ა.სპ.საბ.1.ფიზიკურაქტივობებშიჩართულობის (როგორცxანმრთელობისგანმტკიცებისადასოციალიზაციისხელშემწყობისაშუალების) მნიშვნელობისგაცნობიერება;

ფ.ა.სპ.საბ.5. ფიზიკურითვისებების (მაგალითად: ძალა, სისწრაფე, მოქნილობა, გამძლეობა, სიმარჯვე) განვითარება;

საჭირო წინარე ცოდნა და უნარ-ჩვევები:

ცოდნა-მოსწავლეებს აქვთ ფრაგმენტული ცოდნა მე-7 კლასიდან ოლიმპიური თამაშების შესახებ. ტელევიზიიდან, სავარაუდოდ, უფრო მეტი ინფორმაციის მიმღები იქნებიან; ასევე, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებზე მიღებული აქვთ შესაბამისი ცოდნა ფიზიკურ აქტივობებში ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ;

მოსწავლეებს უნდა განუვითარდეთ შემდეგი უნარ -ჩვევები:

-ოლიმპიური თამაშების მრავალმხრივად დანახვისა და შეცნობის უნარი;

-სამოქალაქო ცნობიერების განვითარების უნარი, რომ სპორტი ჯანსაღი ცხოვრების წესიცაა, შესაძლოა ცხოვრების სტილიც ,მსოფლიო კულტურის შედევრიც და წარმატების საფუძველიც;

-კულტურული მემკვიდრეობის დაფასებისა და მასზე ზრუნვის უნარი;

-ჯანსაღი ცხოვრების უნარ-ჩვევები;

-ლოგიკური აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;

-ზოგადი წიგნიერების განვითარება, რომელიც გულისხმობს კითხვის, წერის, ინფორმაციის მიღების,დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანისა და გაზიარების უნარს;

-შეზღუდულიშესაძლებლობებისმქონემოზარდებთან ინტეგრაციის უნარიდამათიჩართვაგუნდურთამაშებსადაინდივიდუალურმოძრაობითმოქმედებებში.

-გაკვეთილზე მიღებული ინფორმაციის ცოდნად გარდაქმნის უნარი;

შეფასება:

განმავითარებელი შეფასება - დაკვირვების ფურცელი ჯგუფური მუშაობისათვის(სადაც შემაქვს ინფორმაცია ჯგუფური მუშაობის აქტივობების პარალელურად), პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა,საშინაო დავალების შეფასების სქემა,მოსწავლეთა უკუკავშირის კითხვარი, სიტყვიერი კომენტარი, ახსნა-განმარტება, არაფორმალური დაკვირვება(რუბრიკის გარეშე-უბრალოდ ვაკვირდები მოსწავლეთა მუშაობას და ვინიშნავ, რა ხარვეზი დაფიქსირდა და რისი გამოსწორება/გაუმჯობესებაა საჭირო),მიზნის შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები(გაკვეთილის ბოლოს ვაანალიზებ);

დაკვირვების ფურცელი ჯგუფური მუშაობისთვის

	ჩართულობა და თანამშრომლობა	დროის მენეჯმენტი	იდეების არგუმენტირებულად დასაბუთება	წარმოდგენილი ინფორმაციის დავალებასთან შესაბამისობა
I ჯგუფი				
II ჯგუფი				

III ჯგუფი				
IV ჯგუფი				

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

ვები	ობს შესაბამის მოთხოვნას	ბრობს გამართული ენით და იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას	ს დროის ლიმიტს	ორებს/ადარებს/აფასებს ფაქტებსა და მოვლენებს	ფლობს აუდიტორიას	
უფი						
უფი						
ბუფი						
ბუფი						

მოსწავლეთა უკუკავშირის კითხვარი

1.დაასახელე ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი,რაც დღეს პირველად გაიგეთ.რატომ არის ეს საკითხი შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?
2. რა დამოკიდებულება ჩამოგიყალიბდათ ოლიმპიური თამაშებისადმი და ზოგადად, სპორტისადმი?
3. ოლიმპიური თამაშები შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ მსოფლიო კულტურის შედევრად?პასუხი დაასაბუთეთ.
4.ამ გაკვეთილის შემდეგ შეეცდებით თუ არა აქტიურად ჩაერთოთ სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში? ნებისმიერი პასუხი გაამყარეთ არგუმენტებით.
5.რომელი საკითხი დარჩა ბუნდოვანი და რატომ?

საშინაო დავალების შეფასების სქემა

#	მოსწავლის სახელი,გვარი	საკითხი შერჩეულია თემის შესაბამისად,აზრი მკაფიოდ და თანმიმდევრულად არის გადმოცემული და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები(კარგი)	საკითხი შერჩეულია თემის შესაბამისად,აზრი ძირითადად თანმიმდევრულადაა გადმოცემული ,მაგრამ დასკვნები არ არის სრულყოფილი(საშუალო)	საკითხი ნაწილობრივ შერჩეულია თემის შესაბამისად, თუმცა დავალების მოთხოვნას პასუხობს მცირედ. აზრის გაგება ჭირს. (დამაკმაყოფილებელი)	აზრის გაგება შეუძლებელია, შესრულებული დავალება არ პასუხობს მოთხოვნას(არადამაკმაყოფილებელი).
1					
2					
3					

მიზნის შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმები	**სრულად**	**ნაწილობრივ**

მოსწავლეებმა გაიაზრეს ოლიმპიური/პარაოლიმპიური თამაშების არსი და განსაზღვრეს ამ პროცესში საქართველოს ადგილი ;		
მოსწავლეებმა გააცნობიერეს/განიხილეს ოლიმპიური თამაშები, როგორც მსოფლიო კულტურის შედევრები;		
მოსწავლეებმა შეძლეს ფიზიკურ აქტივობებში ჩართულობისა და ფიზიკური თვისებების განვითარების მნიშვნელობის გაცნობიერება;		

სასწავლო მასალა და რესურსები:

-
- ფლიპჩარტები;
-
-
- მარკერები;
-
-
- კომპიუტერი;

-
-
- ოლიმპიური რუკა ;
-
-
- კონკრეტული ტექსტები;
-
-
- სახელმძღვანელო;
-
-
- ბანერები;
-
-
- წამმზომი;
-
-
- ლინკები მოცემულ დროზე: **1.09.2018**
-

/geonoc.org.ge/museum/index.php?lang_id=GEO&sec_id=25

://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A8%E1%83 %94%E1%83%91%E1%83%98
/geonoc.org.ge/museum/index.php?lang_id=GEO&sec_id=10
://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0_%E1%83%93%E1%83%94_%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98
/tsisnami.blogspot.com/2015/07/blog-post_26.html
://www.google.com/search?q=%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%97%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98+%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%98+%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94,+%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AA+%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98+%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98&tbm=isch&source=iu&ictx=1&fir=MyS8PH6XMonCBM%253A%252MCU255R=AI4_-kRrgpmUL86p6vPrlWgrXFlkmoTw_Q&sa=X&ved=2ahUKEwj17Kv93pjhAhVD2qQKHQ1UDscQ9QEwCXoECAkQCA#imgrc=k5Rar3RdggI-ZM:
://www.google.com/search?tbm=isch&q=%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98+%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%98+%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91&ჩიპები=q:%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98+%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%98+%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91,ონლაინ_ჩიპები:%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%

AB%E1
%83%94%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C&sa=X&ved=0ahUKEwjqlaTT4JjhAhV2ShUIHepaDQkQ4lYIJygA&biw=1280&bihMwYz= 64

აქტივობა №1 -მოსწავლეთა დაჯგუფება

აქტივობის აღწერა: სამ მაგიდებზე გაკეთებულია წარწერები სხვადასხვა სპორტის სახეობებით-ფეხბურთი, ფრენბურთი, ცურვა,ერთ მაგიდაზე კი არის წარწერა,,სხვადასხვა,,. მოსწავლეებს ეძლევათ ინსტრუქცია, რომ დაიკავონ ის მაგიდა, რომელიც მათი ინტერესის სფერია, ხოლო მაგიდა წარწერით,,სხვადასხვა,, დაიკავონ იმ მოსწავლეებმა, რომელთა ინტერესის სფერო სამი მაგიდის წარწერაში ვერ მოხვდა. მოსწავლეების დაჯგუფება ხდება წამმზომის გამოყენებით,რათა მათ რაც შეიძლება მცირე დროში შეძლონ განთავსება შესაბამის მაგიდასთან. მაგიდაზე წარწერით,,სხვადასხვა,, დევს პატარა ბანერები, რომელზედაც მოსწავლეებმა უნდა დააფიქსირონ ის სპორტის სახეობები, რომელიც მათი ინტერესის სფერია ან ზეპირად თქვან. აქვე მოსწავლეებს ვუსვამ კითხვას, შერჩეული სპორტის სახეობები მხოლოდ ინტერესის სფერია თუ თავად არიან აქტიურად ჩართულნი ამ მიმართულებით.

აქტივობის მიზანი- მოსწავლეების დაჯგუფება ინტერესის მიხედვით შექმნის იმის შესაძლებლობას, რომ მოსწავლეებმა გამოავლინონ მაქსიმალური ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში;

აქტივობის შედეგი-ინტერესის მოხედვით დაჯგუფება მოსწავლეებს მისცემთ სათანადო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას მათთვის სასურველი/საინტერესო საკითხების შესახებ;

კლასის ორგანიზების ფორმა-საერთო-საკლასო

დროის მენეჯმენტი-1წთ.

აქტივობა №2- მინიშნება-საჩხერე და ოლიმპიური თამაშები

აქტივობის აღწერა-p.p-ში მაქვს შეტანილი მაქვს სურათი, რომელიც გადაღებულია საჩხერის სანაპიროზე, ოლიმპიურ სკვერში და მასზე მოცემულია ოლიმპიური თამაშების სიმბოლო.მოსწავლეებს ვეკითხები, ხომ არ ეცნობათ ეს ადგილი და რა სიმბოლოა ამ სურათზე გამოსახული(ხუთი სხვადასხვა ფერის რგოლი). პარალელურად მე მზად მაქვს ლაშა ტალახაძისა და გიორგი ასანიძის ოლიმპიურ კვარცხლბეკზე ასვლის მომენტი.ამ რესურსების ნახვის შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვ, რომ თითოეული ჯგუფის მაგიდაზე განთავსებულ პატარა ბანერზე დააფიქსირონ /ზეპირად თქვან, თუ რა იქნება, მათი აზრით, საგაკვეთილო თემა.

აქტივობის მიზანი-მოსწავლეები ამ მინიშნებითა და კონკრეტული რესურსით შეიქმნიან პირველად წარმოდგენას საგაკვეთილო თემის შესახებ;

აქტივობის შედეგი: ეს მინიშნება აუცილებლად გამოიწვევს დაინტერესებას, დაგვეხმარება საგაკვეთილო თემის ამოცნობასა და მოსწავლეთა მობილიზებაში;

კლასის ორგანიზების ფორმა-ჯგუფები

დროის მენეჯმენტი-2წთ.

აქტივობა#3-გაკვეთილის თემისა და მიზნის გაცნობა.შეფასების კრიტერიუმების გაცნობა.

აქტივობის მიზანი-მოსწავლეები გაეცნობიან შეფასების კრიტერიუმებს, საგაკვეთილო თემას, მიზანს, რომელიც გაკვეთილის ბოლოს შედეგად უნდა გადაიქცეს;

აქტივობის შედეგი- მოსწავლეები მოახდენენ გონების კონცენტრაციას საგაკვეთილო თემისა და მიზნის შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს მიზნის შედეგად გადაქცევას.
კლასის ორგანიზების ფორმა-ჯგუფები
დროის მენეჯმენტი-1წთ.

აქტივობა №4 -,, შეხსენების ერთი წუთი,,
აქტივობის აღწერა-დაფაზე ვაფიქსირებ ფლიპჩარტს და ჯგუფებს ეძლევათ დავალება,რომ ერთი წუთის მანძილზე განმარტონ , თუ რა იციან ამ კონკრეტული თემის შესახებ. მოსწავლეთა იდეებს ვაფიქსირებ ფლიპჩარტზე.
აქტივობის მიზანი-გჯუფები ერთი წუთის განმავლობაში მოახდენენ წინარე ცოდნის გააქტიურებას კონკრეტული საგაკვეთილო თემის ირგვლივ .
აქტივობის შედეგი-ჯგუფები მოახდენენ ამ კონკრეტული თემის ირგვლივ მათთვის ნაცნობი ინფორმაციის ერთიანობაში თავმოყრას და ინტერესით მოეკიდებიან გაკვეთილზე ახალი ცოდნის მიღებას ;
კლასის ორგანიზების ფორმა-ჯგუფები;
დროის მენეჯმენტი-1წთ.

აქტივობა#5.ტექსტებზე მუშაობა(ტექსტები იხ. გეგმის ბოლოს)
აქტივობის აღწერა- ყველა ჯგუფს ურიგდება სხვადასხვა შინაარსის ტექსტი თემასთან მიმართებაში. ტექსტის წაკითხვის შემდეგ ჯგუფებმა უნდა:1.გააცნონ კლასს ტექსტის შინაარსი; 2.დაასათაურონ ტექსტი; 3.გამოკვეთონ ძირითადი ინფორმაცია; 4. გამოკვეთონ დამატებითი ინფორმაცია, რომელიც უნდა შეიტანონ ჩემ მიერ ფლიპჩარტზე დაფიქსირებულ ცხრილში. ყველა ტექსტში სხვადასხვა მიმართულება იკვეთება-1.ოლიმპიური თამაშების წარმოშობის ისტორია;2.თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორია:3.საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა და დევიზი, ოლიმპიური ცეცხლი;4.ქართველები ოლიმპიურ თამაშებზე; პარალელურად ჯგუფებს ურიგდებათ ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა, რომელიც ამავე დროს შეტანილია p.p-ში და ჯგუფებს მუშაობის დროს ექნებათ იმის შესაძლებლობა, რომ დააკვირდნენ შეფასების რუბრიკის კრიტერიუმებს როგორც ეკრანზე, ასევე თავიანთ სამუშაო მაგიდაზე.
აქტივობის მიზანი-მოსწავლეები შეეცდებიან კონკრეტული ტექსტების გაცნობა/დასათაურებას, ძირითადი და დამატებითი ინფორმაციების გამოკვეთასა და ცხრილში განთავსებას.
აქტივობის შედეგი-მოსწავლეები გაეცნობიან/დაასათაურებენ ტექსტებს,გამოკვეთენ კონკრეტულ ტექსტებში ძირითად და დამატებით ინფორმაციებს,რითაც გააკეთებენ შესაბამის დასკვნებს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, როგორიცაა ძველი და თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორია, ოლიმპიური თამაშების ემბლემა, დევიზი , ცეცხლი და ქართველთა მონაწილეობისა და წარმატების შესახებ ოლიმპიურ თამაშებზე.
კლასის ორგანიზების ფორმა-ჯგუფები
დრო-12 წთ.

შუალედური შეფასება შესაბამის რუბრიკაზე დაყრდნობით(რომელიც ჯგუფებსაც ჰქონდათ დარიგებული)
დრო-1წთ.

აქტივობა#6- ოლიმპიურ რუკებზე მუშაობა, კითხვა-პასუხი
აქტივობის აღწერა- მოსწავლეებს ვუსვამ კითხვას,თუ რა არის საჭირო იმისათვის რომ მიაღწიო ისეთ წარმატებას, რომელსაც ოლიმპიური ჩემპიონობა ჰქვია და ხომ არ იციან, რამდენ ეტაპად ტარდება ოლიმპიური თამაშები. შემდეგ კი მონიტორზე გამომაქვს ოლიმპიური რუკები და მოსწავლეებმა წაიკითხონ რუკაზე დაფიქსირებული ინფორმაცია , რომელიც უნდა დაიტანონ ფლიპჩარტზე.
აქტივობის მიზანი-მოსწავლეები განსაზღვრავენ ოლიმპიური თამაშების გავრცელების /ჩატარების არეალს და უპასუხებენ საკითხთან დაკავშირებულ კითხვებს;მოსწავლეები შეეცდებიან განმარტონ ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშების სახეობები და ის უნარები, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონობისთვის არის აუცილებელი.
აქტივობის შედეგი-მოსწავლეები კონკრეტულ რუკაზე დაყრდნობით გააკეთებენ დასკვნას ოლიმპიური თამაშების ჩატარების ადგილის შესახებ და კონკრეტულ კითხვებზე დაყრდნობით გააკეთებენ კონკრეტულ დასკვნას იმის თაობაზე, რომ ოლიმპიური თამაშები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ტარდება გარკვეული ინტერვალით და რომ არსებობს ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშები სპორტის კონკრეტულ სახეობებში,ჩამოთვლიან იმ უნარებს, რომელიც აუცილებელია ოლიმპიური ჩემპიონობისათვის.
კლასის ორგანიზების ფორმა-ინდივიდუალური
დრო-7 წთ.

აქტივობა#7-კითხვა-პასუხი პარაოლიმპიური თამაშების შესახებ
აქტივობის აღწერა-მოსწავლეებს ვუსვამ კითხვას, ხომ არ იცით, რას ნიშნავს პარაოლიმპიური თამაშები?(საკითხის ცოდნისა თუ არცოდნის შემთხვევაში მათ ეძლევათ წასაკითხად ტექსტი მოსწავლის წიგნში, რის შემდეგ მათ ექნებათ აზრის გამოთქმის შესაძლებლობა და პარალელურად მოხდება ფლიპჩარტზე ინფორმაციის განთავსება;წყაროს გაცნობის შემდეგ მოსწავლეებს ვუსვამ კითხვას თუ რა ემოცია/განწყობა ჩამოუყალიბდათ ამ წყაროს გაცნობის შემდეგ.
აქტივობის მიზანი:მოსწავლეები შეეცდებიან კონკრეტულ ტექსტზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია პარაოლიმპიელების შესახებ და ამ ინფორმაციის საფუძველზე ჩამოაყალიბებენ თავიანთ ემოციას/განწყობას;
აქტივობის შედეგი:მოსწავლეებმა ინფორმაცია მიიღეს პარაოლიმპიური თამაშების შესახებ , რის საფუძველზეც მათ ,სავარაუდოდ, ჩამოუყალიბდებათ შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებთან ინტეგრაციისა და მათ თანასწორად აღქმის უნარი ;
კლასის ორგანიზების ფორმა:ინდივიდუალური
დროის მენეჯმენტი:7წთ.
შუალედური შეფასება -დრო-1წთ

აქტივობა#8-მოსწავლეებისათვის ცხრილის საშუალებით ინფორმაციის მიწოდება ძველი ოლიმპიური თამაშების ხუთი დღის შესახებ

აქტივობის აღწერა: სანამ მოსწავლეებს მოკლე ინფორმაციას მივაწვდი ძველი ოლიმპიური თამაშების ხუთი დღის შესახებ, მანამდე მათგან სრულად ამოვწურავ ინფორმაციას ამ საკითხის შესახებ.პარალელურად მოსწავლეების ნააზრევსა და ჩემ მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ფლიპჩარტზე/ცხრილში გადადავიტანთ მუხლობრივად.

ზაფხულის ხუთი დღის განმავლობაში ოლიმპიაში იმართებოდა სხვადასხვა სახის შეჯიბრება. რადგან დღესასწაული ოლიმპოელი ზევსის სადიდებლად იმართებოდა, ეს შეჯიბრება ოლიმპიური თამაშების სახელით არის ცნობილი. სტუმრებზე ადრე ოლიმპიაში ათლეტები ჩადიოდნენ, რათა ევარჯიშათ და კარგად მომზადებულიყვნენ.ის ათლეტი, რომელიც პირველად იღებდა მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებში, ვალდებული იყო ამ კუთხეს ერთი წლით ადრე სწვეოდა.

პირველ დღეს დღესასწაულის მონაწილეები და სტუმრები წმინდა ადგილებში საზეიმო მსვლელობას აწყობდნენ, ტაძრებში ღმერთებს მსხვერპლს სწირავდნენ.

მეორე დღეს ტარდებოდა შეჯიბრება ეტლებით რბოლასა და ხუთჭიდში(სირბილი,სიგრძეზე ხტომა, შუბისა და ბადროს ტყორცნა,ჭიდაობა).

მესამე დღს საბერძნეთის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული სტუმრები ზევსის ტაძარში მიდიოდნენ და უამრავ საჩუქარს სწირავდნენ. ამავე დღეს იმართებოდა შეჯიბრება სირბილში.

მეოთხე დღეს ტარდებოდა შერკინება მუშტი-კრივში და იმართებოდა იარაღასხმული მორბენლების შეჯიბრება.

მეხუთე დღეს თამაშებში გამარჯვებულებს აჯილდოებდნენ. მათ ზეთისხილის რტოებისაგან დაწნული გვირგვინით ამკობდნენ. ბოლოს კი საზეიმო მსვლელობა იწყებოდა. გამარჯვებულებს ოლიმპიაში და მათ მშობლიურ ქალაქებში ქანდაკებებს უდგამდნენ და როგორც გმირებს, ისე ეპყრობოდნენ.

აქტივობის მიზანი:მოსწავლეები გაიგებენ ძველი ოლიმპიური თამაშების ხუთი დღის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას;

აქტივობის შედეგი:მოსწავლეებს შეექმნებათ წარმოდგენა ძველი ოლიმპიური თამაშების შესახებ, რაც მისცემთ მათ შესაძლებლობას იმისას, რომ გააკეთონ შედარება ძველ და ახალ ოლიმპიურ თამაშებთან მიმართებაში,ცხრილში ინფორმაციის განთავსებით კი ერთიან მთლიანობაში მოხდება ყველა იმ ინფორმაციის თავმოყრა, რომელიც ამ გაკვეთილის ყველა მიმართულების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას.

კლასის ორგანიზების ფორმა:საერთო-საკლასო

დროის მენეჯმენტი:3წთ.

აქტივობა#9-მოსწავლეთა უკუკავშირი

აქტივობის აღწერა-მოსწავლეები ახორციელებენ უკუკავშირს ზეპირად კონკრეტულ კითხვებზე დაყრდნობით(უკუკავშირის კითხვარი იხ. ზემოთ);

აქტივობის მიზანი-მოსწავლეები გაკვეთილის ბოლოს უკუკავშირის კითხვებზე დაყრდნობით მოახდენენ გაკვეთილის შეჯამებას, იმსჯელებენ თუ რა დამოკიდებულება ჩამოუყალიბდათ ოლიმპიური თამაშებისადმი უკვე არსებული თუ ახალი ცოდნის საფუძველზე.

აქტივობის შედეგი-მოსწავლეები უკუკავშირის კითხვებზე დაყრდნობით გამოკვეთენ გაკვეთილზე გაცნობილ მათთვის მნიშვნელოვან საკითხს,განსაზღვრავენ თავიანთ დამოკიდებულებას ოლიმპიური თამაშებისადმი და და ჩამოუყალიბდებათ კონკრეტული გრძნობა /პოზიტიური დამოკიდებულება სპორტის სხვადასხვა სახეობისადმი.

კლასის ორგანიზების ფორმა-ინდივიდუალური

დრო-4 წთ.

აქტივობა#10-შეფასება(შეფასების ფორმები და რუბრიკები იხ,.ზემოთ)
აქტივობის მიზანი- მოხდება მოსწავლეების შეფასება გაკვეთილის დასაწყისში წარმოდგენილი კრიტერიუმების მიხედვით, **განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებ მიზნის შესაბამის კრიტერიუმებზე** და მოსწავლეები გაიგებენ, რა გამოუვიდათ კარგად , რა შეცდომა დაუშვეს და გაკვეთილის მიზანი გადაიქცა თუ არა შედეგად;
აქტივობის შედეგი-მოსწავლეები მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასების შემდეგ გააკეთებენ ანალიზს იმის შესახებ, თუ რა გამოუვიდათ კარგად, რა ხარვეზები ჰქონდათ, რისი გამოსწორება არის შესაძლებელი და სასურველი, მომავალში რას შეცვლიან და როგორ მსგავს აქტივობებზე მუშაობის დროს, მოხდა თუ არა მიზნის ყველა მიმართულებაზე გასვლა;
კლასის ორგანიზების ფორმა-საერთო-საკლასო
დრო-3წთ.

აქტივობა#11-საშინაო დავალება
აქტივობის აღწერა- მოსწავლეთა უკუკავშირის მეოთხე კითხვა ეხება გარკვეული საკითხის ბუნდოვანებას და თუ ასეთი ბუნდოვანება დარჩათ მოსწავლეებს,მათ ეძლევათ დავალება, მოიძიონ ამ ბუნდოვანი საკითხების შესახებ ინფორმაცია (მათ ეძლევათ საკითხის არჩევის შესაძლებლობაც სურვილის მიხედვით).მოსწავლეები აქვე ეცნობიან საშინაო დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკას.თუ ბუნდოვანი საკითხი არ გამოიკვეთა, ასეთ შემთხვევაში ეძლევათ დავალება მათთვის საინტერესო ნებისმიერი საკითხი აირჩიონ თემასთან მიმართებაში. საკითხების წარმოდგენის შესაძლებლობა მათ ექნებათ როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ან კომპიუტერული პრეზენტაციის სახით. დავალება ასევე შეუძლიათ გადმოაგზავნონ ჩემს ელფოსტაზე.
აქტივობის მიზანი-მოსწავლეები შეეცდებიან გაკვეთილზე ბუნდოვნად დარჩენილ საკითხებზე სახლში მუშაობას ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში მოახდენენ თემასთან მიმართებაში მათთვის სასურველი საკითხის მოძიებასა და სხვადასხვა სახით შესრულებას/წარმოდგენას.თემას რომ არ ასცდნენ, სავარაუდო საკითხების ჩამონათვალსაც ვთავაზობ(გიორგი ასანიძე/ლაშა ტალახაძე. ზვიად ზვიადური და მათ მიერ გავლილი გზა ოლიმპიურ ჩემპიონობამდე ან პიერ დე კუბერტენზე ინფორმაცია და სხვა).
აქტივობის შედეგი-მოსწავლეები შესრულებული საშინაო დავალებით მინიმუმამდე დაიყვანენ ბუნდოვან საკითხებს და მათ მიერ მოძიებული მასალით გაიღრმავებენ ცოდნას საგაკვეთილო თემასთან მიმართებაში.
კლასის ორგანიზების ფორმა-საერთო-საკლასო
დრო-1წთ.
დასკვნა- კიდევ ერთხელ მინდა გადახედოთ ოლიმპიური თამაშების დევიზს,, **უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო ძლიერ,,** და გახსოვდეთ, რომ ყველა, მართალია , ოლიმპიური ჩემპიონი ვერ გახდება, მაგრამ ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრებასა და განვითარებას ისწავლით , რაც თავისთავად ჯანსაღი თაობების შექმნის საფუძველი იქნება. და კიდევ ,წარწერები, რომელიც ლაშა ტალახაძისა და გიორგი ასანიძის სურათებს თან ახლავს, მინდა, რომ თქვენც კარგად გაიაზროთ და თითოეული მათგანისათვის ერთგვარ დევიზად გადაიქცეს:**,,მე ეს შევძელი, შენც შეძლებ,,**
კლასის ორგანიზების ფორმა-საერთო-საკლასო

დრო-1წთ.

ტექსტები#4 აქტივობისთვის

პირველი ჯგუფი

ოლიმპიური თამაშები უძველესი და ყველაზე პოპულარული სპორტული შეჯიბრია, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ძველ საბერძნეთში. პირველი ოლიმპიური თამაშები მოეწყო ძვ. წ. 776 წელს ქ. ოლიმპიაში.ოლიმპიურ თამაშებს შორის ინტერვალი შეადგენდა ოთხ წელს(1417დღეს).ოლიმპიური თამაშები ითვლება თანამედროვეობის ურთერთთანამშრომლობის განმტკიცების, მშვიდობისა და პროგრესის სიმბოლოდ.

ანტიკური ოლიმპიური თამაშები საერთო-სახალხო რელიგიური დღესასწაული იყო და ეძღვნებოდა ძველბერძნული პანთეონის უმაღლეს ღვთაებას-ზევსს. ზოგიერთი გადმოცემის თანახმად, ოლიმპიური თამაშები თვით ზევსმა დააფუძნა.

ოლიმპიური თამაშების დროს , ერთი თვის განმავლობაში , საბერძნეთის მთელ ტერიტორიაზე ომი წყდებოდა. მონები და უცხოელები ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას მოკლებულნი იყვნენ, თუმცა თამაშებში ვერც ყველა თავისუფალი ბერძენი მიიღებდა მონაწილეობას, რადგან ასპარეზობაში მონაწილეობის აუცილებელი პირობა იყო ათი თვის განმავლობაში სისტემატიური ვარჯიში მსაჯების მეთვალყურეობით.

თავდაპირველად ოლიმპიადებზე სხვადასხვა დისტანციაზე სირბილში ეჯიბრებოდნენ, შემდეგ კი სპორტის სხვა სახეობები დაემატა.

ოლიმპიდაზე გამარჯვებულს-ოლიმპიონიკს პოეტები ხოტბას ასხამდნენ და ღმერთებსა და გმირებს ადარებდნენ.გამარჯვებულს დაფნის გვირგვინით ამკობდნენ და სწამდათ, რომ მას თვით ზევსი ირჩევდა.

ოლიმპიური თამაშები აკრძალა რომის იმპერატორმა თეოდოსიუს პირველმა 393წელს(ან 394წ), როგორც წარმართული რიტუალი.

მეორე ჯგუფი

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების აღორძინების იდეა ეკუთნის ფრანგ ბარონს პიერ დე კუბერტენს, რომელმაც საფრანგეთის მთავრობას წარუდგინა ოლიმპიური თამაშების აღდგენის გეგმა. მან ამ მიზნით იმოგზაურა ამერიკასა და ინგლისში და შემოიკრიბა მომხრეები.პიერ დე კუბერტენი აირჩიეს 1894 წელს შექმნილ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) გენერალურ მდივნად. პარიზშივე გადაწყდა, რომ თანამედროვეობის პირველი ოლიმპიადა ათენში ჩატარებულიყო და მართლაც, 1896 წელს , ათენში შედგა ოლიმპიადა.პიერ დე კუბერტენი დაკრძალულია ლოზანაში, მისი გული კი მისივე სურვილისამებრ, დაკრძალულია ანტიკური ოლიმპიური თამაშების დედაქალაქ ოლიმპიაში.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშებიც ტარდება ოთხ წელიწადში ერთხელ და ყოველ თამაშს ენიჭება ნუმერაცია იმ შემთხვევაშიც კი, თუ თამაში არ ჩატარდა რაიმე მიზეზის გამო. მაგ. ოლიმპიადა არ ჩატარებულა 1916 წელს, როდესაც პირველი მსოფლიო ომი მიმდინარეობდა, მაგრამ მას მაინც მიენიჭა ნუმერაცია(VI). არ ჩატარებულა აგრეთვე 1940 და1944 წელს, როდესაც მეორე მსოფლიო ომი მიმდინარეობდა, მაგრამ ნუმერაცია მათაც მიენიჭა(XII და XIII).

1924 წლიდან სისტემატურად ტარდება ზამთრის ოლიმპიური თამაშებიც. მსოფლიოს ყველა კონტინენტის სპორტსმენებმა ოლიმპიურ თამაშებში პირველად მონაწილეობა მიიღეს 1908 წელს.

თანამედროვეობის პირველი ოლიმპიადის პროგრამაში შედიოდა სპორტის ცხრა სახეობა.მანდილოსნებმა პირველად მონაწილეობა მიიღეს 1900 წელს ჩოგბურთელთა ტურნირში და პირველი ჩემპიონი ქალი იყო კუპერი(დიდი ბრიტანეთი).

მესამე ჯგუფი

1894 წელს, პარიზში, საერთაშორისო კონგრესზე მიღებული და დამტკიცებული იქნა ოლიმპიური თამაშების ძირითადი წესები და დებულებები-ოლიმპიური ქარტია.ასევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ერთიანი ხელნძღვანელი ორგანოს შექმნის შესახებ, რომელსაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ეწოდა.

ოლიმპიური ალამი პირველად აღიმართა პარიზში, 1914 წელს. ოლიმპიური ალამი თეთრი ფერის დროშაა და მასზე გამოსახულია ხუთი ერთმანეთზე გადაჯაჭვული რგოლი(ცისფერი, ყვითელი, შავი, მწვანე და წითელი). რგოლები განასახიერებენ ხუთ კონტინენტს-აფრიკა, აზია, ევროპა, ამერიკა და ოკეანეთი. დროშა შექმნილია პიერ დე კუბერტენის მიერ და მისი თქმით, დროშის ექვსი ფერი(თეთრი ფონის ჩათვლით) ასახავს იმ დროს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე ყველა ქვეყნის დროშის ფერებს. ოლიმპიური თამაშების დევიზია: ,,უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო ძლიერ,,.

ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთ სიმბოლოა ოლიმპიური ცეცხლი. მას ანთებენ თამაშების გახსნისას და ანთია მის დასასრულამდე.ოლიმპიური ცეცხლი დაკავშირებულია ლეგენდასთან პრომეთეს შესახებ, რომელმაც ზევსს ცეცხლი მოსტაცა და ადამიანებს ჩამოუტანა.

ოლიმპიური ცეცხლის ანთებას ანდობენ ცნობილ ადამიანებს, ძირითადად, სპორტსმენებს.მსოფლიოს გარშემო ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტა პირველად და უკანასკნელად 2004 წელს , ათენის თამაშებისათვის მოეწყო.ცეცხლის ესტაფეტა დედამიწის გარშემო უკვე აკრძალულია და მხოლოდ მასპინძელ ქვეყანაში აქვთ მისი ჩატარების უფლება.

მეოთხე ჯგუფი

ქართველები ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას 1952 წლიდან იღებენ, მაგრამ არა საქართველოს სახელით(1992 წლამდე), რადგან ამ დროს საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა არ იყო და ის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა .1956 წელს, მოთხილამურე მხტომელი კობა წაქაძე იღებდა მონაწილეობას ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში და ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა.

1992 წლიდან ქართველები დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით იღებენ მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებში. 25-ე ოლიმპიადის გამარჯვებულნი გახდნენ და ოქროს მედლები დაიმსახურეს დავით ხახალეიშვილმა(ძიუდო),ლერი ხაბელოვმა(თავისუფალი ჭიდაობა), კახი კახიაშვილმა(ძალოსნობა).

2004 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედლები მოიპოვეს ზვიად ზვიადაურმა(ძიუდო) და გიორგი ასანიძემ(ძალოსნობა).

2008 წელს, პეკინში, ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ ოქროს მედლებით მანუჩარ კვირკველია(ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ირაკლი ცირეკიძე და რევაზ მინდიაშვილი(ძიუდო).

2012 წელს ოლიმპიური ოქროს მფლობელი გახდა ლაშა შავდათუაშვილი(ძიუდო).

2016 წელს რიო დე ჟანეიროს 31-ე ოლიმპიადის ოქროს მფლობელი გახდა ვლადიმერ ხინჩაგაშვილი(ძიუდო) და ლაშა ტალახაძე(ძალოსნობა).